



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 212
26/01/2018

ქალაქი ბათუმი

212-05-4-201801261724



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასების მეთოდის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 53-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №220 დადგენილების საფუძველზე **ვბრძანებ** :

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასების მეთოდი დანართის №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს კომპეტენციების აღწერა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების კომპეტენციების გაცნობის ოქმი დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების შუალედური შეფასების ოქმი დანართი №4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიული საჯარო მოხელეების საბოლოო შეფასების ოქმი დანართი №5-ის შესაბამისად.
6. ბრძანების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა